ალტერნატიული მემარჯვენე ტერორიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში XXI საუკუნეში

აღწერითი კვლევა

GCSD TRC

ალტერნატიული მემარჯვენე ტერორიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში XXI საუკუნეში

ავტორი: მარიამ ღიბრაძე

თბილისი, 2022

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

GCSD-სთან არსებული ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC) არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ან ტერორიზმის კვლევითი ცენტრის (TRC) პოზიციას. TRC - ს წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

TRC GCSD

აბსტრაქტი

ამერიკის შეერთებულ შტატებში (აშშ) ულტრამემარჯვენე ტერორიზმი ახალი ფენომენი არ არის. მეტიც, დროდადრო იზრდება კიდეც. ბოლო ათწლეულის განმავლობაში თავდამსხმელთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, მხოლოდ 2016-2017 წლებში გაოთხმაგდა.

წინამდებარე კვლევა პირველადი, მეორეული და მესამეული წყაროების ანალიზის გამოყენებით აღწერს და განიხილავს 21-ე საუკუნეში, კერძოდ, 2008 წლიდან - ალტერნატიული მემარჯვენე ფრთის ჩამოყალიბებასა და კავშირს შიდა ტერორისტულ საქმიანობასთან.

კვლევის შინაარსობრივი ნაწილი მოიცავს ოთხ ძირითად თავს. პირველ თავში ავტორი საუბრობს ალტერნატიული მემარჯვენეობის იდეოლოგიურ საფუძვლებსა და მათთან აფილირებულ პირებზე. მეორე თავი ეთმობა ალტერნატიული მემარჯვენე მოძრაობების გააქტიურებისა და აღმასვლის მიზეზების მიმოხილვას. მესამე თავში ავტორი საუბრობს ალტერნატიული მემარჯვენე ტერორიზმისა და მასთან დაკავშირებული რამდენიმე ძირითადი მოვლენის შესახებ. ბოლო, მეოთხე თავი კი გამოყოფილია აშშ-ის სახელმწიფო სტრატეგიის მთავარი მიზნებისა და სამოქმედო გეგმის განსახილავად.

სარჩევი

შესავალი 5

კვლევის აქტუალობა და მნიშვნელობა 6

კვლევის მეთოდოლოგია 6

ალტერნატიული მემარჯვენე იდეოლოგია 7

ალტერნატიული მემარჯვენე მოძრაობების აღმასვლა 9

შარლოტსვილი და ალტერნატიული მემარჯვენე ტერორიზმი 11

აშშ-ის პასუხი შიდა ტერორიზმის მიმართ 15

დასკვნა 18

ბიბლიოგრაფია 20

შესავალი

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აშშ-ის საზოგადოებაში სხვადასხვა თემმა არაერთი დარტყმა მიიღო შიდა ტერორიზმისგან. ჩარლსტონში ბიბლიის სწავლების დროს თავს დაესხნენ შავკანიანთა ეკლესიას. პიტსბურგში სამიზნეში ამოიღეს სინაგოგა, რომელიც იმიგრანტებს მხარს უჭერდა. შარლოტსვილში მანქანით განზრახ შევარდნენ ათეულობით ანტირასისტული მოძრაობის მხარდამჭერი ადამიანის ჯგუფში. მსგავსი ქმედებები მიდის ყველაფერ იმის წინააღმდეგ, რისკენაც აშშ ისწრაფვის.

2008 წელს, მას შემდეგ, რაც აქტიურად დაიწყო ტერმინ „ალტერნატიული მემარჯვენეობის“ გამოყენება, ასევე გააქტიურდა მისი ფუძემდებელთა მხრიდან სოციალური ქსელებისა თუ მედიის გამოყენება მოსაზრებათა ფართოდ გასავრცელებლად და თანამოაზრეთა შემოკრების მიზნით. (Center on Extremism, 2018)

მოძრაობის ჩამოყალიბებისთანავე აშკარა გახდა რამდენიმე მახასიათებელი, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ მისი საქმიანობა და ხედვები გაჯერებული იქნებოდა სიძულვილითა და ძალადობისკენ მოწოდებებით. 2016 წელს დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ განსაკუთრებით მოიკიდეს ფეხი რასობრივი უპირატესობის მომხრე, ანტისემიტურმა, ნეონაცისტურმა და მემარჯვენე კონსპირაციის თეორიების გამავრცელებელმა ელემენტებმა. (Center on Extremism, 2018)

მათმა აქტიურობამ მედიის მიზიდვა გამოიწვია, რამაც ალტერნატიულ მემარჯვენე ჯგუფებს საშუალება მისცათ კიდევ უფრო გაეფართოვებინათ თავიანთი ცნობადობის არეალი. მედიამ რამდენადაც ხელი შუწყო მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, იმდენად შეძლო მათ მიერ ორგანიზებული და ჩადენილი ძალადობრივი თუ ტერორისტული აქტების გაშუქება. საბოლოოდ, ამან საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დიდი უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია. ეს კი განსაკუთრებით აისახა მოძრაობათა ლიდერების იმიჯზე.

მიუხედავად უარყოფითი რეზონანსისა, გასულ წელს ულტრამემარჯვენე ტერორისტული ინციდენტების რაოდენობამ საერთო ოდენობის დაახლოებით 70% შეადგინა. (Seth G. Jones, 2020) სწორედ ამ გაზრდილი მონაცემების გამო აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭომ შეიმუშავა სტრატეგია შიდა ტერორისტულ საფრთხესთან გამკლავებისთვის.

აქედან გამომდინარე, კვლევა შეეცდება აღწეროს და მიმოიხილოს ალტერნატიული მემარჯვენე იდეოლოგიის საფუძვლები, მისი მომხრეების აღმასვლის მიზეზები და თუ როგორ იყენებენ ისინი ამ იდეოლოგიას ძალადობრივი ექსტრემისტული საქმიანობის განსახორციელებლად და გასამართლებლად.

კვლევის აქტუალობა და მნიშვნელობა

ალტერნატიული მემარჯვენე იდეები აშშ-ის მეინსტრიმული პოლიტიკის ნაწილი გახდა, ამიტომ აუცილებელია გვესმოდეს, თუ რატომ მოხდა ასე. რას ეწინააღმდეგება ეს იდეები და რის ალტერნატივად გვესახება. ეს საკითხები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ალტერნატიული მემარჯვენეობა ონლაინ სამყაროში წარმოქმნილი მოძრაობაა და გამოირჩევა სიძულვილის, ფანატიზმისა და ძალადობის აშკარა ელემენტებით.

ამასთან ერთად, საკვლევად მნიშვნელოვანია, რა გავლენას ახდენს ალტერნატიული მემარჯვენე ექსტრემისტების მიერ ჩადენილი ძალადობრივი და ტერორისტული საქმიანობა სახელმწიფო პოლიტიკაზე, ხერხდება თუ არა თავდასხმებისა და დაპირისპირებების თავიდან აცილება.

დღესდღეობით ინტერნეტი და სოციალური ქსელები ადამიანთა უმრავლესობის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ციფრული სამყარო და ალტერნატიული მემარჯვენე ექსტრემისტების რეკრუტირებისა თუ შეხედულებათა გავრცელების ტაქტიკები მჭიდროდ დაკავშირებული საკითხებია. ისინი ერთმანეთის გარეშე ფაქტობრივად არც არსებობენ. გარდა ამისა, უნდა ითქვას ისიც, რომ ინტერნეტს საზღვრები არ გააჩნია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ალტერნატიული მემარჯვენე ექსტრემისტული მოძრაობების გაძლიერება არამხოლოდ აშშ-ის საზღვრებში, არამედ მის გარეთაც დაუბრკოლებლად არის შესაძლებელი. შესაბამისად, საფრთხე იზოლირებულად აშშ-ში არ რჩება.

აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით განხორციელებული ნებისმიერი აღწერითი თუ ანალიტიკური კვლევა აქტუალური და საინტერესო უნდა იყოს დაინტერესებული მკითხველისთვის.

კვლევის მეთოდოლოგია

აშშ-ში ულტრამემარჯვენე ტერორიზმის 21-ე საუკუნეში გააქტიურების, მისი იდეოლოგიისა და აქტორების, ასევე აშშ-ის საპასუხო სტრატეგიის აღსაწერად კვლევა იყენებს მეორეული და მესამეული წყაროების თვისებრივ კონტენტ ანალიზს.

ძირითადად გამოყენებულია სამი ტიპის ლიტერატურა: აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს (NSC) დოკუმენტი შიდა ტერორიზმთან გამკლავების სტრატეგიების შესახებ, სტატიათა კრებული მთავარ რადიკალ მემარჯვენე მოაზროვნეების შესახებ, ასევე კვლევითი ორგანიზაციების ანგარიშები და აკადემიური სტატიები. სტატიათა კრებული განიხილავს რამდენიმე მთავარ რადიკალ მემარჯვენე მოაზროვნეს, რომლებიც ლიბერალური დემოკრატიისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. როგორც კრებულის შესავალშია აღნიშნული, ეს პირები არიან თანამედროვე რადიკალი მემარჯვენეები, რომლებიც ამ ფრთის ინტელექტუალურ მხარეს წარმოადგენენ. ხოლო ანგარიშები და აკადემიური

სტატიები უმეტესად უკავშირდება ულტრამემარჯვენე ტერორიზმის ხელახლა გააქტიურების მიზეზებს, ევოლუციისა და ამჟამინდელი მდგომარეობის განხილვას.

ალტერნატიული მემარჯვენე იდეოლოგია

ალტერნატიული მემარჯვენეობა (Alternative Right/ Alt-right) უცნაური წარმონაქმნი, განსხვავებული ონლაინ სუბკულტურების კონგლომერატია, რომელსაც საბოლოოდ თეთრი სუპრემაციზმის[1] იდეოლოგია აერთიანებს. (Center on Extremism, 2018) სწორედ ამ სხვადადასხვაობისა და თვითიდენტობის ჩამოყალიბების პროცესის გამოა, რომ მოძრაობის არსებობის მოკლე ისტორიაში უკვე არაერთი განხეთქილება მოხდა და დანაწევრდა.

სანამ უშუალოდ იდეოლოგიურ საფუძვლებს განვიხილავთ, საინტერესოა ითქვას, თუ საიდან და როდის წარმოიშვა ტერმინი „ალტერნატიული მემარჯვენეობა“. ამ ტერმინის გამოყენება 2008 წლის შუა პერიოდიდან რიჩარდ სპენსერმა დაიწყო. (Bar-On, 2019) 2016 წელს The Atlantic-თან ჩაწერილ ინტერვიუში იგი აღნიშნავს, რომ ამის მიზეზი საკუთარი თავის მეინსტრიმული ამერიკული კონსერვატიული მოძრაობისგან თავის დაღწევა და განსხვავება იყო. (Spencer, Rebranding White Nationalism: Inside Richard Spencer's Alt-Right, 2016) იმ ფაქტს, რომ ალტერნატიული მემარჯვენეობა ინტერნეტიდან წარმოშობილი მოძრაობაა, სპენსერი ღიად აფიქსირებს და აღნიშნავს: „ჩვენ არ გვყავს ჯორჯ სოროსი, რომელიც ფულს ჩვენკენ ისვრის. თუმცა ჩვენ ვართ ისინი, ვინც საზოგადოებას იზიდავს, ხალხს ჩვენთან ლაპარაკი სურს, ჩვენი ეშინიათ და ეს სწორედ ჩვენს ძალას აჩვენებს“. (Spencer, “We memed alt-right into existence”: Richard Spencer Extended Interview, 2016)

აქვე აღსანიშნია ისიც, რომ თავად სპენსერი თავს არა თეთრ სუპრემაცისტად, არამედ იდენტიტერიანად მიიჩნევს, მხარს უჭერს ამერიკული იდენტობის მკაფიო ეთნიკურ კონცეფციასა და ეთნოსახელმწიფოების იდეას, უარყოფს იმიგრაციასა და ლტოლვილებს. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ის „თეთრი სუპრემაცისტებისთვის თაყვანისცემის ობიექტია“. (Bar-On, 2019) განსაკუთრებით საინტერესო კი მისი მოსაზრებებია, სადაც ამბობს: „თეთრი ადამიანი ცხოვრობს მსოფლიოში, რომელშიც ერთ დროს მისი რასა დომინირებდა, ახლა კი შავი და ყავისფერები არიან კოლონიზატორები, ევროპულ მემკვიდრეობას ნაწილ-ნაწილ გვართმევენ...არა-თეთრები შურისმაძიებლები არიან და მიზნად თეთრი იდენტობის განადგურებას ისახავენ“. (Bar-On, 2019)

სპენსერი 2010 წლიდან აკრიტიკებდა და დასცინობა აშშ-ში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს, განსაკუთრებით კი - რესპუბლიკელებს. ამავე წლის მარტში დააარსა AlternativeRight.com, დაიწყო ყოველკვირეული პოდკასტების წაყვანა და საბოლოო ჯამში, არაერთი მედია გამომცემლობა გამოიყენა საკუთარი ხედვების გასავრცელებლად. (Bar-On, 2019)

[1] სუპრემაციზმი - იდეა, რომლის მიხედვითაც საერთო მახასიათებლის ქვეშ გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფები არიან სხვა დანარჩენ ადამიანებზე უპირატესნი. (თოხაძე, 2020)

„ექსტრემიზმის ცენტრის“ მიერ 2018 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2010-იან წლებში რამდენიმე განსხვავებულმა მიდგომამ ჩამოაყალიბა ალტერნატიულ მემარჯვენეთა იდეოლოგიური საფუძველი. (Center on Extremism, 2018) ეს იდეოლოგიური მიმართულებებია:

1. პალეოკონსერვატიზმი - აღმოცენდა 1980-იან წლებში ნეოკონსერვატიზმის წინააღმდეგ. იდეოლოგიურად მეინსტრიმულ კონსერვატიზმსა და ულტრამემარჯვენე ფრთას შორის მერყეობს. პალეოკონსერვატორები ეწინააღმდეგებიან იმიგრაციას, მულტიკულტურალიზმს, არაქრისტიანულ რელიგიებს, თანასწორობის ცნებას. მხარს უჭერენ ანტისემიტიზმსა და ნაციონალიზმს. ირონიულია, რომ ამ იდეოლოგიის შემქმნელთაგან ერთ-ერთი, პოლ გოტფრიდი ებრაელია, ნეოკონსერვატორებს კი ახასიათებს „უზრდელ, ფხუკიან ებრაელებად“. (Center on Extremism, 2018) ანგარიშის მიხედვით, პალეოკონსერვატიზმი ყველაზე აშკარად რიჩარდ სპენსერისა და მისი ორგანიზაციის, „ეროვნული პოლიტიკის ინსტიტუტის“, საქმიანობაში აისახება;
2. ნეონაციზმი და ფაშიზმი - ეს იდეოლოგია აერთიანებს თეთრ სუპრემაცისტ ჯგუფებს, რომლებიც, რასაკვირველია, თაყვანს სცემენ ნაცისტურ გერმანიასა და ადოლფ ჰიტლერს. მხარს უჭერენ რადიკალურ ანტისემიტიზმს, თუმცა განსხვავებით ჰიტლერული შეხედულებისა, სლავებს უღირს ადამიანებად (subhumans) აღარ მიიჩნევენ და „თეთრებში“ მოიაზრებენ. ამ მიმართულების ყველაზე ცნობილი მიმდევარი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თეთრი სუპრემაცისტული ვებსაიტის, „Daily Stormer”-ის შემქმნელი ენდიუ ანგლინია;
3. იდენტიტარიანიზმი - მემარჯვენე ევროპული მოძრაობა, რომელიც ალტერნატიული მემარჯვენეობის ეკვივალენტად შეიძლება მივიჩნიოთ, აღმოცენდა 2000-იან წლებში საფრანგეთში და გავრცელდა ევროპაში. მოძრაობა არის ნატივისტური ნაციონალიზმის მხარდამჭერი, მკაცრად ეწინააღმდეგება ევროპაში არათეთრ (განსაკუთრებით მუსლიმთა) იმიგრაციას, ასევე ებრაელთა და ბოშათა ევროპაში არსებობას. მხარს უჭერს ნაციონალისტურ ეთნოსახელმწიფოებს. უდიდესი იდენტიტარიანული ჯგუფი არის „Identity Evropa”, რომლის მიზანია შექმნას უკეთესი სამყარო ევროპული წარმოშობის ადამიანებისთვის, კერძოდ კი ამერიკაში“; (Center on Extremism, 2018)
4. რენეგატული კონსერვატიზმი - ამ იდეოლოგიის მიმდევრები ეწინააღმდეგებიან ნეოკონსერვატორებსა (“Cuckservatives”, როგორც თავად უწოდებენ) და ზოგადად ხელისუფლების დადგენილ სისტემაში არსებულ კონსერვატორებს. ჯერ-ჯერობით ყველაზე გავლენიანია 2007 წელს დაარსებული „Breibart News“, რომელსაც ენდრიუ ბრაიბარტი უძღვებოდა. 2012 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ კი იგი სტივ ბანონმა ჩაანაცვლა. ბანონმა უფრო რადიკალური პოზიცია გამოიჩინა და „Breibart News“ 2016 წელს ალტერნატიული მემარჯვენეობის პლატფორმად გამოაცხადა. იგი აჟღერებს ანტიიმიგრაციულ და ანტიმუსლიმურ მოსაზრებებს, ასევე ხაზს უსვამს ნაციონალიზმს. სტივ ბანონი მოგვიანებით პრეზიდენტ ტრამპის უფროს მრჩეველად და თეთრი სახლის უფროს სტრატეგად დაინიშნა;
5. მემარჯვენე კონსპირაციული თეორიები - ამ მიმართულების მთავარი მიზანი არის ფაქტსა და ფიქციას შორის ხაზების წაშლა. მათგან ყველაზე ცნობილი

შეგვიძლია ალექს ჯოუნსს ვუწუდოთ. იგი 1990-იან წლებში ტეხასში გამოჩნდა და აჟღერებდა და იცავდა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ თემატიკის კონსპირაციებს. შექმნა მემარჯვენე კონტრკულტურის მედია იმპერია. მისი გავლენა კი 2015 წელს ჯერ კიდევ საპრეზიდენტო კანდიდატი დონალდ ტრამპის მის შოუ “InfoWars”-ში გამოჩენის შემდეგ გაიზარდა.

მცირე დაკვირვებაა საჭირო იმის შესამჩნევად, რომ ხუთივე მიმართულებას რამდენიმე საერთო მახასიათებელი აქვს: თეთრი სუპრემაციზმი, ნაციონალიზმისა და ეთნოსახელმწიფოების მხარდაჭერა, წინააღმდეგობა იმიგრაციის მიმართ, ზოგადად არაევროპელების (არათეთრების), განსაკუთრებით ებრაელებისა და მუსლიმების მიმართ სიძულვილი. ასევე აღსანიშნავია იმავენაირი განწყობები აფროამერიკელების მიმართულებით.

ამგვარი პოზიციის იდეალური ამსახველია ე.წ „თოთხმეტი სიტყვა“ სლოგანები, რომლებიც თეთრი სუპრემაციზმის მიმდევარმა დეივიდ ლეინმა შექმნა. ერთ-ერთი ფართოდგავრცელებული სლოგანია „ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ხალხისა და მომავალი თეთრი ბავშვების არსებობა“ (“We must secure the existence of our people and a future for white children”). (Jones, 2018)

ალტერნატიული მემარჯვენე მოძრაობების აღმასვლა

ექსპერტები ალტერნატიული მემარჯვენე მოძრაობებისა და ასევე ექსტრემისტების აღმასვლის რამდენიმე ძირითად მიზეზს განიხილავენ. სტრატეგიული და საერთაშორისო სწავლებების ცენტრის (CSIS) მკვლევარი სეთ ჯოუნსი 4 მათგანს გამოყოფს:

1. მოძრაობათა წევრები მზარდად იყენებენ ინტერნეტსა და სოციალურ მედიას პროპაგანდისტული განცხადებების გასავრცელებლად, ტრენინგების (მათ შორის, სამხედრო წვრთნების) კოორდინაციისთვის, საპროტესტო აქციებზე დამსწრეების მგზავრობის ორგანიზების, ფინანსების მოძიების, წევრების რეკრუტირებისა და კომუნიკაციის მიზნით. პლატფორმები, როგორებიცაა Manosphere და 4chan „ექსტრემიზმის ცენტრის“ ანგარიშში ალტერნატიულ მემარჯვენეთა სუბკულტურებად არის მოხსენიებული;
2. მემარჯვენე ექსტრემისტები უფრო და უფრო ხშირად მოგზაურობენ ოკეანის გადაღმა, ხვდებიან თანამოაზრეებს და ცვლიან მოსაზრებებს საერთო ინტერესის სფეროებთან დაკავშირებით. მაგალითად, 2018 წელს Rise Above Movement-ის (RAM) რამდენიმე წევრი (რობერტ რუნდო, ბენ დალეი და მაიკლ მისელისი) გერმანიაში, უკრაინასა და იტალიაში გაემგზავრნენ ადოლფ ჰიტლერის დაბადების დღის აღსანიშნავად და ევროპელ თეთრ სუპრემაცისტებთან შესახვედრად. RAM თავად თეთრი სუპრემაცისტული დაჯგუფებაა, რომელიც სამხრეთ კალიფორნიაშია დაფუძნებული; (Jones, 2018)
3. გასული ათწლეულის განმავლობაში მემარჯვენე ექსტრემისტთა გააქტიურების ფაქტორი ასევე გახდა ბარაკ ობამას პრეზიდენტად არჩევა. DHS-ის დასკვნის თანახმად, „აფროამერიკელი პრეზიდენტის არჩევის

კაპიტალიზებას ახდენენ და ამით ცდილობენ ახალი წევრები რეკრუტირებას, არსებული მხარდამჭერების მობილიზებასა და გავლენის არეალის გაფართოებას, თუმცა ისინი ჯერ არ გადასულან თავდასხმით დაგეგმვაზე". (Jones, 2018) აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ონლაინ ქსელებში გააქტიურება უფრო მეტად შეინიშნებოდა ობამას მეორე ვადით არჩევის შემდეგ, ანუ 2012 წლიდან; (Sangillo, 2019)

4. დონალდ ტრამპის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა და პრეზიდენტად არჩევა.

იდეოლოგიის შესახებ თავში გამიზნულად არ გამახვილდა ყურადღება ალტერნატიული მემარჯვენეების კიდევ ერთ და მნიშვნელოვან საერთო დეტალზე, რომელიც დონალდ ტრამპის მიმართ მხარდაჭერაა. მკვლევარი ჯ.მ. ბერგერი ტრამპს უწოდებს „წებოს, რომელმაც, როგორც არასდროს, ალტერნატიული მემარჯვენე სოციალური ქსელი შეკრა". (Berger, 2018) ჯერ კიდევ გაპრეზიდენტებამდე მის მიმართ ალტერნატიული მემარჯვენე მოძრაობათა წევრების მხარდაჭერა გაიზარდა შეხედულებათა თანხვედრისა და იმის გამო, რომ ტრამპი იყო გარეშე წევრი (outsider) და დადგენილი უფლებამოსილების წინააღმდეგ მდგომი (Anti-Establishment) კანდიდატი. (Center on Extremism, 2018)

ტრამპის, როგორც მამოტივირებელი ფიგურის არსებობას ადასტურებს რიჩარდ სპენსერის შესახებ 2016 წელს გადაღებული მოკლე დოკუმენტური სიუჟეტი, რომელშიც ასახულია მისი გამოსვლა, სადაც ამბობს: „დიდება ტრამპს! დიდება ჩვენს ხალხს! დიდება გამარჯვებას!". იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ტრამპმა დანამდვილებით გამოიწვია ალტერნატიული მემარჯვენეობის გააქტიურება. (Spencer, Rebranding White Nationalism: Inside Richard Spencer's Alt-Right, 2016) მოგვიანებით მის ინაუგურაციასაც დაესწრო.

რიჩარდ სპენსერიც, ალტერნატიული მემარჯვენე სხვა ლიდერების მსგავსად, იმედოვნებდა, რომ 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნები შექმნიდა ე.წ. ოვერტონის ფანჯარას. მისი გამოყენების მიზანი კი აშკარა იყო: თეთრი სუპრემაცისტული შეხედულებების „დაუჯერებლობიდან" გამოსვლა და საზოგადოებისთვის მისი „გაპოპულარულება", ანუ უფრო მისაღები სახის მიცემა. (Center on Extremism, 2018)

შარლოტსვილი და ალტერნატიული მემარჯვენე ტერორიზმი

მემარჯვენე ტერორიზმი „ტრადიციულად ნაკლებად სტრუქტურირებული და ორგანიზებულია, განსაკუთრებით ისლამისტურ/ჯიჰადისტურ ექსტრემიზმთან შედარებით. მთელი ეს მიმდინარეობა ამერიკელი, თეთრკანიანთა სუპრემაციზმის თეორეტიკოსის, ლუი ბიმის „ულიდერო წინააღმდეგობის“ კონცეფციაზეა აწყობილი.“ (თოხაძე, 2020) მიუხედავად დეცენტრალიზებული და ნაკლებად ორგანიზებული სტრუქტურისა, მათი ძალადობრივი საქმიანობა შესამჩნევად ექსტრემისტული და მავნეა, ზოგჯერ კი ტრაგიკულადაც სრულდება ხოლმე.

ალტერნატიული მემარჯვენეობის ძალადობრივმა მხარემ კულმინაციას 2017 წლის აგვისტოში ვირჯინიაში, ქალაქ შარლოტსვილში მიაღწია. ამ პერიოდში გაიმართა მემარჯვენე ექსტრემისტთა 2 დღიანი დემონსტრაცია სახელად „Unite the Right”, რომელსაც ასეულობით ალტერნატიული მემარჯვენე და თეთრი სუპრემაცისტული დაჯგუფებების[2] წევრი ესწრებოდა.

ამ დემონსტრაციის წინაპირობა იმავე წლის მაისში რიჩარდ სპენსერის მიერ შარლოტსვილში კონფედერატი გენერლის, რობერტ ედვარდ ლის, ქანდაქების აღების გადაწყვეტილების წინააღმდეგ საპროტესტო აქციის მოწყობა იყო. ივლისშიც გაგრძელდა გამოსვლები, რომელთა პარალელურად ანტირასისტული კონტრაქციებიც იმართებოდა. საბოლოოდ კი ნიადაგი შემზადდა „Unite the Right“ დემონსტრაციისთვის, რომელიც აშშ-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძალადობრივი და ტრაგიკული აღმოჩნდა. ერთი ადამიანი, ჰეზერ ჰეიერი, ჯეიმს ალექს ფილდს ჯუნიორის (ალტერნატიული მემარჯვენე ახალგაზრდა) მიერ კონტრაქციის მონაწილეთა ჯგუფში ავტომობილით განზრახ შევარდნას ემსხვერპლა, 35 ადამიანი კი დაშავდა. სულ მცირე 14 ადამიანი დაშავდა სხვა შეტაკებების დროს.

Vice News-ის მიერ „Unite the Right“ დემონსტრაციის შესახებ გადაღებულ სიუჟეტში დაფიქსირებულია არაერთი შეტაკებისა და თავდასხმის კადრი. ალტერნატიული მემარჯვენე ექსტრემისტები გამოირჩევიან განსაკუთრებული მტრული დამოკიდებულებით. ყველაზე მეტად კი გამოირჩევა ნეონაცისტი კრისტოფერ ჩარლზ კენტველი, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც „მყვირალა ნაცისტი“. ჟურნალისტთან საუბრის დროს იგი აღნიშნავს: „ფაქტი, რომ არცერთ ჩვენიანს არავინ უსამართლოდ არ მოუკლავს, ვფიქრობ, ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს“. (Cantwell, 2017) ეს ყველაფერი ითქმის მის მიერვე დემონსტრაციისას გატანილი შეიარაღების (ორი ცეცხლსასროლი იარაღი Kel-Tec P3AT, Glock 19, Ruger LC9, დანა, ორი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი) ჩვენების ფონზე. იმავე სიუჟეტში ერთ-ერთი შეტაკების შემდეგ კენტველი ამბობს: „მოვკლავთ ამ ხალხს, თუკი მოგვიწევს“.

ამ ხარისხის ძალადობრივი დამოკიდებულებისა და არეულობის პარალელურად თეთრი სახლის გავრცელებული განცხადება კიდევ უფრო წინააღმდეგობრივი გამოდგა. პრეზიდენტ ტრამპის განცხადება გმობდა სიძულვილს, ფანატიზმსა და ძალადობას, მაგრამ არა თეთრი სუპრემაცისტების, არამედ „ბევრ მხარეს“. „ნიუ იორკ თაიმსის“ მიხედვით, სტივ ბანონმა დაჟინებით ურჩია ტრამპს, მკაცრად არ

[2] ნეონაცისტები (ეროვნული სოციალისტური მოძრაობიდან), Vanguard America, კუ კლუქს კლანი და ა.შ. (Center on Extremism, 2018)

გაეკრიტიკებინა ექსტრემისტები. (Center on Extremism, 2018) მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო განცხადებაში მან აშკარად ახსენა „კუ კლუქს კლანი“, ნეონაცისტები და თეთრი სუპრემაცისტები, ჟურნალისტის დასმულ შეკითხვაზე პასუხად ძალადობაში კვლავ ორივე მხარე დაადანაშაულა. ამგვარმა განცხადებებმა არათუ არ დაამშვიდა, არამედ კიდევ უფრო მეტი მოტივაცია მისცა ალტერნატიულ მემარჯვენე ექსტრემისტებს, კვლავ განაგრძონ საკუთარი დღის წესრიგის მიყოლა, რაც თავისთავად მოიცავს ძალადობასაც.

შარლოტსვილის ძალადობა და მასზე თეთრი სახლის რეაქცია ცხადყოფს, თუ როგორი უცნაური და დამანგრეველი ლანდშაფტი აქვთ შექმნილი ალტერნატიულ მემარჯვენე ექსტრემისტებს. ისინი ყოველთვის წარმოადგენდნენ შიდა ტერორისტულ საფრთხეს აშშ-ში. „ექსტრემიზმის ცენტრის“ ანგარიშის მონაცემების მიხედვით, 2008-2017 წლებში ჩადენილი ექსტრემისტული მკვლელობების 54% თეთრ სუპრემაცისტებზე მოდის, ხოლო 2014-2017 წლებში ტერორისტული ინციდენტებიდან 36 მემარჯვენე ფრთის მიერაა განხორციელებული.



CSIS-ის კვლევის მიხედვით (ფიგურა 1), 2020 წლის 1-ელი იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით მომხდარი 61 შიდა ტერორისტული ინციდენტიდან 40-ზე მეტი ძალადობრივი ულტრამემარჯვენე ფრთის მიერაა განხორციელებული. კვლევა დროის ამ პერიოდში მომხდარ შიდა ტერორისტულ ინციდენტებს (თავდასხმები და გეგმები) აანალიზებს. ამ მონაცემების მიხედვით ცხადია, რომ წინა წლებთან შედარებით მემარჯვენე ექსტრემისტების მიერ ჩადენილი ტერორისტული თავდასხმები იზრდება.

ფიგურა N1

Figure 1: Number of Terrorist Attacks and Plots by Perpetrator Orientation, January–August 2020



Source: Data compiled by CSIS Transnational Threats Project.

რაც შეეხება ამ შემთხვევების ტერიტორიულ გადანაწილებას, ძალადობრივი ულტრამემარჯვენე ტერორისტული თავდასხმები მთელი ქვეყნის მასშტაბით ხდებოდა. როგორც რუკაზეა ნაჩვენები (ფიგურა N2), შიდა ტერორისტული ინციდენტები სპეციფიურ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობებზე არ ყოფილა იზოლირებული. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ტერორიზმის რიცხვების ზრდა უფრო მეტად ეროვნული პრობლემა იქნება, ვიდრე რეგიონული. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ტერორისტული ინციდენტების მსგავსად ფართო არეალზე არსებობა მეტად ართულებს მომავალი ინციდენტების მოხდენის სავარაუდო ადგილმდებარეობათა დადგენას. (Seth G. Jones, 2020)

61 შემთხვევიდან 8%, ანუ ხუთი დასრულდა ფატალური შედეგით. უმეტესობაში კი ძალადობის იარაღად ავტომობილი ან/და ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს. ფატალურობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი ინციდენტების მაღალი

რაოდენობისა და ასევე ლეტალურ იარაღთა ვარიაციების ფონზე იმის მანიშნებელია, რომ ექსტრემისტების პრიორიტეტი არა მკვლელობა, არამედ საფრთხის დაყენებით მესიჯების გაგზავნა იყო. (Seth G. Jones, 2020)

ფიგურა N2

Figure 6: Location of Domestic Terrorist Attacks and Plots, January–August 2020



Note: This map includes 61 events from January 1 to August 31, 2020. No events occurred in Alaska, Hawaii, or Puerto Rico during this period. Events that occurred near one another are buffered to avoid overlapping points.

Source: Data compiled by CSIS Transnational Threats Project.

ამ თავის ბოლოს აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ 2021 წლის 6 იანვარს კაპიტოლიუმზე თავდასხმა. „საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა, მის მხარდამჭერებს მოქმედებისკენ მოუწოდა, ლოზუნგით „გადაარჩინეთ ამერიკა“. პრეზიდენტის სწორედ აღნიშნულმა გამოსვლამ დაუდო სათავე 6 იანვრის თავდასხმას“ [კაპიტოლიუმზე]. (ფარსადანიშვილი, 2021 წლის ანგარიში ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ, 2021) თავდასხმაში არაერთი ალტერნატიული მემარჯვენე ექსტემისტული ორგანიზაცია მონაწილეობდა, მათ შორის, Boogaloo და Proud Boys, რომლებიც „რიგ წყაროებში განსაკუთრებულ საფრთხედ არიან მოხსენიებული“. (ფარსადანიშვილი, ენის გავლენა ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული იდენტობის ჩამოყალიბებაზე ინტერნეტსივრცეებში, 2020)

„ულტრამემარჯვენე ტერორიზმი უფრო მტკიცედ დასავლეთში იკიდებს ფეხს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ისეთი ძალადობრივი დაჯგუფებები, როგორებიცაა Boogaloo და Proud Boys ორივე ორგანიზაცია 2016 წელს დააფუძნა ენრიკე ტარიომ. ისინი „ტერორიზმის კვლევითი ცენტრის“ ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის შესახებ 2021 წლის ნახევარწლიურ ანგარიშში ულტრამემარჯვენე ტერორისტულ ორგანიზაციებად არის მოხსენიებული. Proud Boys კაპიტოლიუმზე თავდასხმის შემდეგ კანადამ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა. (ტერორიზმის კვლევითი ცენტრი, 2021)

აშშ-ის პასუხი შიდა ტერორიზმის მიმართ

შიდა ტერორიზმი აშშ-ისთვის ახალი საფრთხე ნამდვილად არ არის, მაგრამ დღესდღეობით კვლავ აქტუალურად რჩება. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტ დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო ვადის პერიოდში, როგორც უკვე აღინიშნა, ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ძალები ძლიერდებოდა კიდეც.

პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა მოვალეობის ოფიციალურად შესრულების პირველივე დღეს მოითხოვა საფრთხის ყოვლისმომცველი შეფასება. გააქტიურებული შიდა ტერორიზმის აქტებთან ხელისუფლების ბრძოლის ეფექტიანობის გასაზრდელად და მისი ხელშემწყოფი ფაქტორების შესამცირებლად NSC-მა შეიმუშავა და 2021 წლის 14 ივნისს გამოაქვეყნა „შიდა ტერორიზმთან გამკლავების ეროვნული სტრატეგია“. „შიდა ტერორიზმი არის ორივენაირი: მტკიცე და ცვალებადი“. (National Security Council, 2021)

ეროვნულ სტრატეგიაში ხაზგასმით არის დაგმობილი შიდა ტერორიზმი. რაც მთავარია, დოკუმენტი აღნიშნავს, რომ იდეოლოგიური მიკუთვნებულობის მიუხედავად, ყველას, ვინც შიდა ტერორისტულ ძალადობრივ საქმიანობას ეწევა, მკაცრი წინააღმდეგობა გაეწევა. შესაბამისად, ცხადია, რომ დოკუმენტში განხილული სტრატეგია მემარჯვენე ექსტრემისტებსაც მიემართებათ.

სწორედ ამ მახასიათებლების გათვალისწინებით დოკუმენტი შემუშავდა აშშ-ის უსაფრთხოების, ღირებულებების, განსაკუთრებით, სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინებით.

სტრატეგიაში ოთხი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც თავისთავად მოიცავს რამდენიმე სტრატეგიულ მიზანს:

I სვეტი: შიდა ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის გაგება და გაზიარება

ამ სვეტის სტრატეგიული მიზნების თანახმად, ფედერალური ხელისუფლება განაგრძობს შიდა ტერორიზმთან დაკავშირებული კვლევისა და ანალიზის პროცესის გაუმჯობესებას. როგორც წესი, მნიშვნელოვან ტრენდებსა და ტრაექტორიებს ეროვნული კონტრტერორისტული ცენტრის დახმარებით ადგენს გამოძიების ფედერალური ბიურო (FBI) და ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტი (DHS).

განახლებული მიდგომა გულისხმობს საფრთხის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და გაზიარებას, როგორც ფედერალური მთავრობის შიგნით, შტატების, ლოკალურ, სათემო და ტერიტორიულ დონეებზე, ასევე გარეთაც. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს DHS-ის მზაობა, გამოიყენოს გარე, არა-სამთავრობო ანალიტიკა და ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს შიდა ტერორისტული საქმიანობის შესახებ სიტუაციური ცნობიერების ამაღლებას.

რაც მთავარია, ინფორმაციის გაზიარების სტრატეგიული მიმართულება არ შემოიფარგლება აშშ-ის საზღვრებში. დღევანდელობაში ინტერნეტის დახმარებით ძალიან მარტივია კომუნიკაცია. გამონაკლისი კი არც შიდა ტერორიზმია. ინტერნეტზე დაფუძნებული რეკრუტირება და ძალადობის მობილიზაციის წახალისება უკვე საერთაშორისო დონეზეა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ სახელმწიფო დეპარტამენტი სახაზინო დეპარტამენტთან კონსულტაციის ფარგლებში მუშაობს უცხოელ მოკავშირეებთან ინფორმაციისა და სადაზვერვო მონაცემების გაცვლაზე. ამის მიზანი საერთაშორისო პარტნიორებისგან გამოწვეებისა და თავდასხმებთან დაკავშირებული წარმატებული მიდგომების საკუთარ სტრატეგიაში ინტეგრირებაა.

II სვეტი: შიდა ტერორიზმის რეკრუტირებისა და ძალადობისკენ მობილიზაციის პრევენცია

მეორე სვეტის ფარგლებში გამოყოფილია ორი მთავარი სტრატეგიული მიზანი:

1. შიდა ტერორიზმის პრევენციისთვის საჭირო რესურსებისა და მომსახურების გაძლიერება, და
2. შიდა ტერორისტების მიერ ონლაინ რეკრუტირებასა და ძალადობისკენ მობილიზაციასთან გამკლავება.

სტრატეგიის მიხედვით, პირველი გულისხმობს რეკრუტირებისთვის აუცილებელი მასალების მიწოდებისა და მოთხოვნის შემცირებას - მოიერიშე იარაღებსა[3] და მაღალმწარმოებლურ მაღაზიებზე[4] წვდომის შემცირებას, ასევე ცეცხლსასროლ იარაღებზე საკანონმდებლო აკრძალვების დაწესებას, ცხადია, სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინებით. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ DHS-მა პირველად მიმართა თავისი საგრანტო პროგრამები შიდა ძალადობრივ ექსტრემიზმთან საბრძოლველად. დეპარტამენტმა გამოყო სულ მცირე 77$ მლნ, რომელსაც შტატის და ადგილობრივი მთავრობები მიიღებენ. (Levy, 2021) ეს პრეცედენტი და მასზე პასუხის დაჩქარება კაპიტოლიუმზე 6 იანვრის თავდასხმამ გამოიწვია.

შიდა ტერორისტული საქმიანობისთვის ინდივიდთა რეკრუტირება მიმდინარეობს როგორც პირისპირ, ისე ონლაინ (მათ შორის, სოციალური მედია, გეიმინგ პლატფორმები, ფაილთა შესანახი საიტები და სხვა). მეორე სტრატეგიული მიზანი შიდა ტერორისტებისთვის ამგვარ ფართომასშტაბიან ხელმისაწვდომობას ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხედ აღიქვამს. მასთან გასამკლავებლად კი

[3] ავტომატური ან ნახევრად ავტომატური ინდივიდუალური იარაღი, რომლის სასროლი მანძილია დაახლოებით 300 მეტრი.
[4] სავაჭრო დაწესებულებები, რომელთაც 10 ან 15 რაუნდზე მეტი ოდენობის შეიარაღებაზე აქვთ წვდომა.

ციფრული წიგნიერებისა და სხვა ინოვაციური პროგრამების დანერგვას განიხილავს. ასევე მხარს უჭერს „ქრაისთჩარჩ ქოლს“ [5] - მთავრობებისა და ტექნოლოგიური კომპანიების ვალდებულება, აღკვეთონ ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული შინაარსის მქონე მასალა ონლაინ სივრცეში. ამ ინიციატივის საიტზე ხაზგასმულია, რომ გამოხატვის თავისუფლების პატივისცემა ფუნდამენტურია. თუმცა არავის აქვს უფლება შექმნას და გააზიაროს ტერორისტული და ძალადობრივი შინაარსის მქონე მასალა ონლაინ. (The Christchurch Call, 2019)

III სვეტი: შიდა ტერორისტული საქმიანობის შეწყვეტა და შეკავება

მართლმსაჯულების დეპარტამენტი, FBI-ს ჩათვლით, დიდი ხანია აშშ-ში შიდა ტერორიზმთან გამკლავების ღერძია. ამ მიმართულების მიზანია, შესაძლებელი გახადოს შიდა ტერორისტული დანაშაულების შესაბამისი გაძლიერებული საგამოძიებო და აღსრულების მექანიზმები. მართლმსაჯულების დეპარტამენტი გააძლიერებს და გააფართოებს შიდა ტერორიზმის შესახებ აღმასრულებელი კომიტეტის გამოყენებას, რათა უზრუნველყოს ქვეყნის შიგნით უწყებათაშორისი კოლაბორაცია, ანტი ტერორისტული მრჩეველთა საბჭოების გამართული მუშაობა.

FBI, კონტრტერორიზმის ეროვნული ცენტრი და DHS ავითარებენ სტრატეგიებს შიდა ტერორიზმთან დაკავშირებული სიმბოლოების, ფრაზეოლოგიისა და ინფორმაციის შესახებ, თუ როგორ ამოვიცნოთ შიდა ტერორისტული მობილიზაციის პოტენციური ინდიკატორები. ამასთან, სტრატეგიის თანახმად, კონგრესთან კონსულტაციითა და ფედერალური სამართალდამცავი ხელმძღვანელობის რეკომენდაციებით შეფასდება პოტენციური საკანონმდებლო რეფორმებიც.

მესამე სვეტის მიხედვით, DHS და FBI გეგმავენ პოტენციური თანამშრომლების შემოწმების გამკაცრებას სახელმწიფო უწყებებში პოტენციური ტერორისტების დასაქმების რისკის შემცირების მიზნით. გარდა ამისა, ისინი აუმჯობესებენ სისტემებსა და მექანიზმებს, რათა ამოიცნონ ყველა ისეთი ინდივიდი, რომელიც ფედერალურ სამუშაო ძალაში კანონდარღვევით შეეცდებოდა საკუთარი პოზიციის ბოროტად გამოყენებას, მათ შორის, შიდა ტერორისტული საქმიანობის განხორციელების ჩათვლით.

IV სვეტი: გრძელვადიან პერსპექტივაში შიდა ტერორიზმის ხელშემწყობ პირებთან დაპირისპირება

ამ ნაწილში ხაზგასმულია ძალადობრივი თეთრი სუპრემაციზმის პასუხისმგებლობა რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური სიძულვილის გაღვივებით დღესდღეობით შიდა ტერორიზმის გააქტიურების კუთხით. ამასთან გამკლავება კი მოითხოვს მჭიდრო კოორდინირებულ მუშაობას თეთრი სახლის საშინაო პოლიტიკის საბჭოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. ეს კი ნიშნავს აშშ-ში რასიზმთან ბრძოლას,

[5] Christchurch Call to Action to Eliminate Terrorist and Violent Extremist Content Online - შეიქმნა 2019 წელს ახალ ზელანდიაში, ქრაისთჩარჩში ორ მეჩეთზე მომხდარი თავდასხმის შემდეგ, რომელსაც 51 ადამიანი ემსხვერპლა.

ამერიკელების დაცვას შეიარაღებული ძალადობისა და მასობრივი მკვლელობებისგან. (National Security Council, 2021)

ეროვნული სტრატეგიის მეოთხე სვეტი შეიცავს აშკარა მოწოდებას აშშ-ის ხელისუფლებისკენ, რომ აუცილებლად ძალისხმევა მიმართოს უფრო ფართო პრიორიტეტისკენ: ხელისუფლების მიმართ რწმენის გაძლიერება (მაგ.: ხელისუფლება უნდა გახდეს მოწინავე რასიზმის აღმოფრხვრაში) და დეზინფორმაციისა და მისინფორმაციის კრიზისების ფონზე ღრმა პოლარიზაციასთან გამკლავება, რადგან ყოველივე ამერიკულ საზოგადოებას ანაწევრებს და ზოგჯერ მიუძღვება კიდეც ძალადობისკენ.

რადგანაც ეს სტრატეგია ახლახან ჩამოყალიბდა, განხორციელების შედეგები ჯერ კიდევ ნათლად არ იკვეთება. რამდენად გაამართლებს თეთრი სახლის მიერ შემოთავაზებული მსგავსი მიდგომები შიდა ტერორიზმთან საბრძოლველად, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ფედერალურ, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო დონეზე ჩართულობის გაძლიერება, ინფორმაციის გაცვლის პროცესის გაჯანსაღება და გააქტიურება შიდა ტერორიზმთან ბრძოლის გზაზე უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია.

დასკვნა

აშშ-ში შიდა ტერორიზმის საფრთხე ძალზედ კომპლექსურია და დღითიდღე იმატებს. ციფრულ სამყაროში ცხოვრებამ კი ამ საფრთხის მარტივად გავრცელებას ხელი შეუწყო. ალტერნატიული მემარჯვენეობა სწორედ რომ ონლაინ სივრცეში წარმოიშვა და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოინაცვლა რეალურ ცხოვრებაში.

2008 წელს, როდესაც რიჩარდ სპენსერმა ტერმინი „ალტერნატიული მემარჯვენეობის“ გამოყენება დაიწყო, ეს ამ მოძრაობის მეინსტრიმული და ხელისუფლების დადგენილ სისტემაში არსებული კონსერვატორებისგან განსხავების ნათელი ნიშანი იყო.

ალტერნატიული მემარჯვენე პლატფორმების ონლაინ არსებობამ მოძრაობის კონტროლი მეტად რთული გახადა. რეალობაში კი მისი, როგორც მოძრაობის იდეოლოგიურმა მრავალფეროვნებამ, საბოლოოდ დიდი რაოდენობის მხარდამჭერის მობილიზება გახადა შესაძლებელი.

ამ სხვადასხვაობის მიუხედავად, ალტერნატიულ მემარჯვენეობას ერთი მთავარი იდეოლოგია - თეთრი სუპრემაციზმი, აერთიანებს. ეს იდეოლოგია კი, როგორც უკვე ვიხილეთ, თავისთავად მოიაზრებს ერთი ჯგუფის სხვებზე უპირატესობას, რაც უმეტესად ძალადობაში გადაიზრდება ხოლმე. ამას ადასტურებს კიდეც ბოლო რამდენიმე წელში მომხდარი ფაქტები.

2017 წელს შარლოტსვილში სახელმწიფომ სათანადოდ ვერ უზრუნველყო მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვა, რასაც არაერთი ადამიანი დაზიანება და ერთ შემთხვევაში ფატალური შედეგი მოჰყვა. სწორედ მსგავსი სიტუაციების პრევენციისა და აღკვეთისთვის NSC-მა 2021 წელს შეიმუშავა შიდა ტერორიზმთან გამკლავების ეროვნული სტრატეგია, რომელიც იდეოლოგიური მიკუთვნებულობის

განურჩევლად გავრცელდება ძალადობრივი საქმიანობის ჩამდენ ნებისმიერ პირს, დაჯგუფებასა თუ ორგანიზაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ სტატეგიის შექმნიდან ერთი წელი ჯერ არ გასულა, უწყებათაშორისი, არასამთავრობო სექტორთან და საერთაშორისო თანამშრომლობასა და კოორდინირებაზე აგებული დოკუმენტი, სავარაუდოდ, სასიკეთო გავლენას იქონიებს შიდა ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით.

ბიბლიოგრაფია

Bar-On, T. (2019). Richard B. Spencer and the Alt Right. In M. J. Sedgwick (Ed.), Key Thinkers of the Radical Right (pp. 224-242). New York: Oxford University Press.

Berger, J. (2018). Trump Is the Glue That Binds the Far Right. The Atlantic. Retrieved from https://www.theatlantic.com/ideas/archive/2018/10/trump-alt-right-twitter/574219/

Cantwell, C. (2017, August 15). Charlottesville: Race and Terror – VICE News Tonight (HBO). (V. N. Elle Reeve, Interviewer) Retrieved from https://www.youtube.com/watch?v=P54sP0NIngg&ab_channel=VICENews

Center on Extremism. (2018). New Hate and Old: The Changing Face of White Supremacy. Center on Extremism. Retrieved from https://www.adl.org/new-hate-and-old

Jones, S. G. (2018, November). The Rise of Far-Right Extremism in the United States. CSIS Briefs, pp. 1-9.

Levy, R. (2021, February 25). Homeland Security Refocuses Grants Towards Fighting Domestic Extremism. The Wall Street Journal. Retrieved from https://www.wsj.com/articles/homeland-security-refocuses-grants-towards-fighting-domestic-extremism-11614279718

National Security Council. (2021, June). National Strategy for Countering Domestic Terrorism. Washington, United States of America: The White House.

Sangillo, G. (2019, September 8). How the Alt-Right Happened. Retrieved from American University: https://www.american.edu/ucm/news/20190908-alt-right-twitter.cfm?fbclid=IwAR0XqR-xwufebAeTxmq4IpElqXvL_dyfPJjAwOzLqdLgi7ygsaRS1_jLZiQ

Seth G. Jones, C. D. (2020, October). The War Comes Home - The Evolution of Domestic Terrorism in the United States. CSIS Briefs, pp. 1-12.

Spencer, R. (2016, December 12). “We memed alt-right into existence”: Richard Spencer Extended Interview. (V. N. Elle Reeve, Interviewer) Retrieved from https://www.youtube.com/watch?v=aN8w7IUMc1o&ab_channel=VICENews

Spencer, R. (2016, December 15). Rebranding White Nationalism: Inside Richard Spencer's Alt-Right. (T. Atlantic, Interviewer) Retrieved from https://www.youtube.com/watch?v=kVeZ0_Lhazw&ab_channel=TheAtlantic

The Christchurch Call. (2019, May 15). Retrieved from https://www.christchurchcall.com/

თოხაძე, მ. (2020, დეკემბერი). 2020 წლის მსოფლიო ტერორიზმის ტენდენციების მიმოხილვა. თბილისი. Retrieved from https://gcsd.org.ge/storage/files/doc/2020-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%94%E

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი. (2021). ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის შესახებ 2021 წლის ნახევარწლიური ანგარიში. Retrieved from http://trc.gcsd.org.ge/ge/publications/show/83

ფარსადანიშვილი, ბ. (2020). ენის გავლენა ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული იდენტობის ჩამოყალიბებაზე ინტერნეტსივრცეებში. თბილისი: ტერორიზმის კვლევითი ცენტრი.

ფარსადანიშვილი, ბ. (2021). 2021 წლის ანგარიში ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ. თბილისი: ტერორიზმის კვლევითი ცენტრი.